

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## სამოქალაქო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 41 959 მოქალაქე უკანონოდ დააჯარიმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,  წლის პირველი 7 თვის განმავლობაში პირადობის მონმობის დაგვიანებით ადებისთვის 41 959 მოქალაქე დაჯარიმდა. A სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქე ვალდებულია პირადობის მონმობა 16 წლის შესრულებიდან 6 თვის ვადაში აიღოს და ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში იგი 5 ლარით ჯარიმდება.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საიამ) შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიაჩნია, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ უკანონოდ ხდება პირადობის მონმობის აღების დაგვიანებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლის საფუძველზე მოქალაქეთა დაჯარიმება.

საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ  მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ A კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მართლაც 16 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე დროს, აღნიშნულ კანონში და არც სხვა საკანონმდებლო აქტებში არ არის აღნიშნული რა ვადაში უნდა გაიაროს მოქალაქემ რეგისტრაცია და აიღოს პირადობის მონმობა. მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია და 6 თვეზე მეტი ვადით იცვლის საცხოვრებელ ადგილს, ეკისრება ვალდებულება მიმართოს რეესტრის ტერიტორიულ ორგანოს და დარეგისტრირდეს ახალ მისამართზე (კანონის მე-4 მუხლი). მაგრამ აღნიშნული ვადა ეხება უკვე რეგისტრირებული პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას და მისი ანალოგიის წესით პირადობის მონმობის დაგვიანებით აღების შემთხვევებზე გავრცელება უკანონოა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას (ჯარიმა 5 ლარი)  საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრებისათვის. მართალია, ზემოაღნიშნული კანონი (მოქალაქეთა რეგისტრაციის შესახებ) ითვალისწინებს 16 წელს მიღწეული მოქალაქისთვის პირადობის მონმობის აღების ვალდებულებას, მაგრამ კანონი მოქალაქეს ჯარიმის დაკისრებამდე ვადას არ უდგენს და მოცემული ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მოქალაქეები არ უნდა დაჯარიმდნენ ზემოაღნიშნული 185-ე მუხლის მიხედვით.

საიას მიაჩნია, რომ სამოქალაქო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უკანონოდ დააკისრა მოქალაქეებს ჯარიმა და მოუწოდებს ეროვნულ სააგენტოს ბათილად ცნოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები და დაუბრუნოს მოქალაქეებს გადახდილი თანხები. ასოციაცია მზად არის დაეხმაროს მოქალაქეებს, რომლებიც დაჯარიმდნენ პირადობის მონმობის დაგვიანებით აღებისათვის.